საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-553

29/07/2022

ქ. თბილისი

შპს „ინსონის“ გაჯის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მარტის N2-353 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 ივლისის N21/3596 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს „ინსონის“ გაჯის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მარტის N2-353 ბრძანება.

2. ბრძანება გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და ,,შპს „ინსონის“.

3. სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს ბრძანება 5 დღის ვადაში განათავსოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი